ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 147

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის" (ს/ნ 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის №379 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის" (ს/ნ 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 6 დეკემბრის №18.995.1414 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2019 წლის 16 აპრილის ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მთავრობის №19.420.585 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.016.148) შპს „ალმასთვის" (ს/ნ 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის №379 განკარგულებით განსაზღვრულ დანართში, თანდართული რედაქციით.
2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი

უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პროვატიზების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 1756 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.016.148) შპს ,,ალმასთვის" (ს/ნ 204873388) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის №379 განკარგულების დანართით განსაზღვრული ხელშეკრულების პროექტის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის მე-7 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6.4.7. მყიდველი აცხადებს, რომ უარს ამბობს ქ.თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე არსებულ 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.10.006.025), 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.10.006.027) და 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.10.006.026) დაკავშირებულ ყოველგვარ მოთხოვნაზე, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, მიუღებელ შემოსავალზე, სასამართლოსთვის მამართვასა და ა.შ.''.